# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/229 " 14 " დეკემბერი 2020 წ.

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე მ. კვირიკაშვილის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ**

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის $4^1$ პუნქტის შესაბამისად, მაია კვირიკაშვილი 2018 წლის 18 იანვრიდან გამწესდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე–$36^4$ მუხლების შესაბამისად, 2018 წლის 18 იანვრიდან 2020 წლის 18 სექტემბრამდე პერიოდში მაია კვირიკაშვილის შეფასების მიზნით განხორციელდა 6 დამოუკიდებელი შეფასება საბჭოს სამი მოსამართლე (ვ. მშვენიერაძე; დ. გვრიტიშვილი; ი. ბონდარენკო) და სამი არამოსამართლე (ნ. ჯანეზაშვილი; ი. გელაშვილი; თ. ღვამიჩავა) წევრის მიერ. აღნიშნული შეფასებების შედეგად მოსამართლე აკმაყოფილებს კანონით დადგენილ კრიტერიუმებს. კერძოდ, ექვსივე წევრი მიიჩნევს, რომ მოსამართლე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მოსამართლე მაია კვირიკაშვილის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი შეადგენს 555 ქულას, რაც წარმოადგენს ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის (600 ქულა) 92.5%-ს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით (საბჭოს სრული შემადგენლობის მხარდაჭერით) „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4, $4^1$ და $4^2$ პუნქტების საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე მაია კვირიკაშვილი 2021 წლის 18 იანვრიდან თანამდებობაზე გამწესდეს უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე